**ტერმინთა განმარტება (Terms of Reference)**

**WISE მედია-ლაბორატორიისთვის**

ქალთა ინიციატივა უსაფრთხოებისა და თანასწორობისთვის (WISE)

პროგრამის ფარგლებში

## შესავალი

პროგრამა **„ქალთა ინიციატივა უსაფრთხოებისა და თანასწორობისთვის“** (შემდგომში – *„პროგრამა“*) ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ და ხორციელდება **„მერსი ქორფს საქართველოს“** მიერ საქართველოსა და სომხეთში.

პროგრამა თანამშრომლობს პარტნიორ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის (VAWG) და ძალადობრივი ექსტრემიზმის (VE) პრევენციისა და წინააღმდეგობის მიმართულებით.

## პროგრამის მიზნები, სტრუქტურა და ჩარჩო

WISE გუნდის საქმიანობა მიმართულია ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის (VAWG) საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისკენ, სადაც მედიას განსაკუთრებული  როლი და მნიშვნელობა ენიჭება. მედიის წარმომადგენლები – ჟურნალისტები, პროდიუსერები, ტელევიზიის, ონლაინ მედიის, უნივერსიტეტებისა და რადიოს წარმომადგენლები – პროგრამის ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ იურისტებთან, სამოქალაქო აქტივისტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

პროგრამის ფარგლებში, უახლოეს მომავალში დაგეგმილია ერთობლივი მედია-ტრენინგი, რომელიც შეეხება VAWG საკითხების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკებს.

**მომსახურების მოცულობა და მოთხოვნები**

პოტენციურმა მომსახურების მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

- ტრენინგის სრული ორგანიზება და ჩატარება;
- ყველა საჭირო ხარჯის გათვალისწინება, მათ შორის შინაარსობრივი, ლოგისტიკური და ადმინისტრაციული ხარჯები;
- მომსახურების ღირებულების დეტალური და ზუსტი გათვლა;
- მომწოდებელს უნდა ჰქონდეს; ა) ბოლო სამი წლის მანძილზე მინიმუმ ერთი, მსგავსი მედია-ტრენინგის ორგანიზების გამოცდილება, სადაც არანაკლებ 20 მედია-საშუალების წარმომადგენლები იღებდა მონაწილეობას; ბ) ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მინიმუმ 1 ტრენინგის ორგანიზების გამოცდილება; გ) სომხურ მედია-ორგანიზაციებთან ორგანიზების გამოცდილება.

**VAWG მედია-ლაბორატორიის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები**

- საქართველოსა და სომხეთის მედიის წარმომადგენლების, ასევე საუნივერსიტეტო/აკადემიური სივრცის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება VAWG-ისა და VE-ს საკითხებზე;
- WISE პროგრამისა და Safe You აპლიკაციის გაცნობა ქართული და სომხური მედიისთვის;
- VAWG თემებზე სამუშაოდ მედიის წარმომადგენელთა სტიმულირება;

- ერთიანი საკომუნიკაციო ქსელის შექმნა საქართველოსა და სომხეთის მედიის წარმომადგენლებს შორის, მომავალი თანამშრომლობისა და ახალი სამუშაო პერსპექტივების გაჩენის მიზნით;

**პროექტის სათაური:** ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის (VAWG) გაშუქებაზე მედია-ლაბორატორიის (ტრენინგის) უზრუნველყოფა

**ადგილმდებარეობა:** სომხეთი, ერევანი.

**თარიღი:** ნოემბერი 2025

**მომსახურების მიწოდების მიზნები:**

პოტენციურმა მომსახურების მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მედიის წარმომადგენლების ჩართულობა ტრენინგში და მუშაობა VAWG-ის გაშუქების მიმართულებით - საერთაშორისო მედია სტანდარტების დაცვით. ტრენინგებმა უნდა გააძლიეროს მედიის წარმომადგენლების უნარები და ცოდნა.

## მომსახურების მიმწოდებლის ამოცანა/საქმიანობა:

1.1. მედიის წარმომადგენლებისთვის VAWG-ის საკითხებზე სამდღიანი, საგანმანათლებლო ტრენინგების ორგანიზება. კერძოდ:

- წინასწარი მედიაგზამკვლევის მომზადება ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის საკითხების გაშუქების შესახებ, თანამედროვე საერთაშორისო მიდგომების გათვალისწინებით (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი ტერმინოლოგია და მიდგომები);
- მედია-ლაბორატორიის 3 დღიანი შინაარსობრივი პროგრამის შემუშავება და დონორთან შეთანხმება; საერთო ჯამში არანაკლებ 10 თემატური სესია,  და ვორკშოპი;

- მედია-ლაბორატორიის მონაწილეთათვის, ძირითადი პროგრამის გარდა, დამატებითი კულტურული პროგრამის შემუშავება, რომელიც მოიცავს შეხვედრებს და ვიზიტებს სომხეთში სახელმწიფო/მედია ან აკადემიურ ორგანიზაციებთან, (მინიმუმ - 2 შეხვედრა);
- ნეთვორქის განვითარებაზე ორიენტირებული, საინფორმაციო WELCOME PARTY - ს ორგანიზება პროექტის ყველა მონაწილისა და სპიკერისთვის;
- პროექტის შეჯამება და შემაჯამებელი ღონისძიების ორგანიზება - ყველა მონაწილის ჩართულობით;
- ღონისძიების მიმდინარეობის ფოტო და ვიდეო გადაღება, საბოლოო ვიზუალური მასალების დონორისთვის მიწოდება;
- ღონისძიების ამსახველი საინფორმაციო ვიდეო-რეპორტაჟის მომზადება და ტელევიზიებში გაშუქება - სომხეთსა და საქართველოში;
- მედია-ლაბორატორიის თითოეული მონაწილის მიერ WISE პროგრამისა და Safe you აპლიკაციის შესახებ, პროექტის დასრულების შემდეგ, 1 თვის ვადაში - მედია-პროდუქტის მომზადება და გამოქვეყნება (სტატია, სიუჟეტი, გადაცემა და ა.შ.);
- პროექტის საბოლოო ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიშის მომზადება და დონორისთვის წარდგენა;

1.2 პროექტის ადმინისტრირება/კოორდინაცია/მედიის წარმომადგენელთა შერჩევა და რეკრუტირება, მათი მონაწილეობის უზრუნველყოფით;

1.2.1. მედია-ლაბორატორიის მონაწილეთა შერჩევა სომხეთსა და საქართველოში. აუცილებელია, რომ თითოეული ქვეყნიდან ლაბორატორიის მუშაობაში ჩაერთოს 25 მონაწილე. აქედან - 20 სხვადასხვა მედიის წარმომადგენელი, ხოლო 5 აკადემიური სექტორიდან (სტუდენტი/პროფესორი). საერთო ჯამში 50 მედიის წარმომადგენელი ორივე ქვეყნიდან და 10 მონაწილე აკადემიური სფეროდან (ორივე ქვეყნიდან).

1.2.2. მედია-ლაბორატორიის სპიკერების შერჩევა, მოწვევა და შეთანხმება;

1.2.3. მედია-ლაბორატორიის ყველა მონაწილისთვის უსაფრთხო სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა;

1.2.4. მედია-ლაბორატორიის მონაწილეებისთვის საქართველოდან ჯანმრთელობის სამედიცინო დაზღვევის უზრუნველყოფა სომხეთში ტრანსპორტირებისა და ყოფნის პერიოდში;

1.3 ტრანსპორტირება

- 20 ადამიანის (15 მონაწილე და 5 საორგანიზაციო ჯგუფის წევრი) ტრანსპორტირება თბილისიდან-ერევანში და ერევნიდან თბილისში
- 20 ადამიანის ტრანსპორტირება ერევნის ტერიტორიაზე (დაგეგმილი მინიმუმ 2 შეხვედრის ფარგლებში);

1.4 სასტუმროს მომსახურება

- განთავსება:

სასტუმროს ნომრების უზრუნველყოფა ერევანში, არანაკლებ 4 ვარკვლავიანი სასტუმრო;

- 20 ორკაციანი ნომერი - 2.5 დღით და 2 ღამით (სულ - 40 სტუმარი);

- სასტუმროს სხვა სერვისები:

- 50 კაციანი საკონფერენციო დარბაზი 1.5 დღის განმავლობაში - უზრუნველყოფილი - მაგიდებითა და სკამებით, ეკრანით, პროექტორით, ლეპტოპით, ხმის გამაძლიერებლებით (3 დისტანციური მიკროფონით); სამუშაო ბლოკნოტებითა და კალმებით; პრინტერითა და ფურცლებით.
- სივრცე coffee-brake-სთვის 1.5 დღის განმავლობაში;

1.5 კვება

**1.5.1. კვების ხარჯი სასტუმროს ფარგლებში**

- მონაწილეთა ოდენობა: 50 ადამიანი;
- კვების რაოდენობა: 6;

- კვების განრიგი:
  - 1 სადილი -დღე I;
  - სამჯერადი კვება - დღე II;
  - ორჯერადი კვება -  დღე III;

### 1.5.2 Coffee Break ხარჯი:

მონაწილეთა ოდენობა: 50 ადამიანი

Coffee Break რაოდენობა - 3

განრიგი:

2 ერთეული Break – დღე II;

1 ერთეული Break -  დღე III;

### 1.5.3 სამგზავრო ლანჩ-ბოქსები

**რაოდენობა - 2 ლანჩ-ბოქსი**

**მონაწილეთა რაოდენობა** - 20

**განრიგი** - თბილისი-ერევანი - დღე I

ერევანი-თბილისი - დღე II

### 1.5.4 სარესტორნო მომსახურება

1 welcome dinner რესტორანში, ლოკაცია -  ერევანი

მონაწილეთა რაოდენობა: 45 ადამიანი.

## 1.6 ფოტო-ვიდეო მომსახურება

პროგრამის აქტივობების შესაბამისი ფოტო გადაღება და შემაჯამებელი, მცირე ვიდეო რგოლის მომზადება

**მომსახურების შედეგები:**

კონსულტანტი ჩაატარებს 6 ტრენინგ/სესიას VAWG-ის გაშუქების სტანდარტების შესახებ. ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა – 40 ადამიანი. შენიშვნა: მომსახურების ფარგლებში, შერჩეული პროვაიდერი აიღებს სრულ პასუხისმგებლობას მონაწილეთა მობილიზებაზე, ტრანსპორტირებაზე, კვებასა და საცხოვრებელზე.

**ვადები / გრაფიკი:**

მომსახურების ხელშეკრულება გრძელდება 1 თვის განმავლობაში (და სავარაუდოდ, დაიწყება მიმდინარე წლის ნოემბერში). ზუსტი თარიღი განსაზღვრება მოგვიანებით. ტრენინგების თარიღები წინასწარ შეთანხმდება შერჩეულ პროვაიდერთან.

საკონტაქტო პირი WISE პროგრამიდან:

არჩილი ფოლადაშვილი – რეგიონალური პროგრამის კოორდინატორი

---

**ფუნქციონირების წესები**

ყველა ოფიციალური მიმოწერა, ასევე მედია-ლაბორატორიის ჯგუფური შეხვედრების სამუშაო ენა იქნება ინგლისური.

---

**დამატებითი ინფორმაცია**

ა) აღნიშნული აღწერილობა (ToR) შეთანხმებულია WISE პროგრამის განმახორციელებლი გუნდის მიერ

ბ) ნებისმიერი ცვლილება ან დანამატი შეიძლება განხორციელდეს წერილობით, პროგრამის განმახორციელებელ გუნდთან შეთანხმებით.